



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ვერა ურულაშვილი

წევრები:

ნატო ოგანეზოვი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,);

ნინო ხუტილაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);

ანა ანუშიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);

სოფიკო მჭედლიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);

თამარ წულუკიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);

ინგა კაჭარავა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);

მარინე კვარაცხელია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);

ნანი სალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);

გიორგი ბერიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);

ნინო კოვზიაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სსიპ (საჯარო სამართლის იურიდიული პირი)
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	224081598

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ახალციხის მუნიციპალიტეტი სოფელი ღრელი
ფაქტობრივი მისამართი	სოფელი ღრელი მე-7 ქუჩა N45
საფოსტო ინდექსი	0800
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Ghveli@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	არ აქვს

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 1 24 0000602255 31/05/2024
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2024 წლის 27-28 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ახალციხის მუნიციპალიტეტი სოფელი ღრელი. მე-7 ქუჩა N 45 შენობა-ნაგებობა 1 (ერთი)
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ახალციხის მუნიციპალიტეტი სოფელი ღრელი. მე-7 ქუჩა N 45 შენობა-ნაგებობა 1 (ერთი)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2024 წლის 27-28 ივნისს სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელის საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტთან.

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეფასების პროცესი განვახორციელეთ ადგილზე ვიზიტით, ჯგუფის სხვა წევრებმა შეფასების პროცესი განახორციელეს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, კერძოდ, ZOOM-ის გამოყენებით. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მათ შორის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია (ქიმია-ბიოლოგია და ფიზიკა).

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი დისტანციურად შეხვდა დაწყებითი საფეხურის ქართული ენის, მათემატიკის, საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი საგნების, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებს და მიგნებები შეაჯერა სახელმწიფო ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, საზოგადოებრივი მეცნიერებების, კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ ექსპერტებთან.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა 60	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა
		(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება



გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
.		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
3.4.1.1.		სკოლამ უზრუნველყოს სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დოკუმენტის მოძიება შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

VI. რჩევა

¹ გარდ მეთუ სტანდარტის ნაილბივი შესაბამისობისა.



გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატ. 1.2.1.1.		გადახედოს სტრატეგიული განვითარების გეგმას და გაწეროს დაგეგმილი აქტივობები წლების მიხედვით მათ პრიორიტეტების გათვალისწინებით, ასევე პრიორიტეტების განსაზღვრისას გაითვალისწინოს სკოლის ფინანსური შესაძლებლობები.
1.2.1.2.		სკოლის შეიდწლიანი გეგმის გადახედვის დროს ყურადღება მიექცეს გეგმის ციკლორობას.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N.3.1.1.1.		დააკორექტიროს სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა, საშტატო განრიგით გათვალისწინებულ პოზიციებთან შესაბამისად. შეიმუშაოს ერთიანი დოკუმენტი, რომელშიც ცალსახად იქნება განსაზღვრული სკოლაში არსებული ყველა სტრუქტურული ერთეულის/პირის ფუნქცია- მოვალეობები.
3.1.2.3.		საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვროს დარაჯისთვისაც.
3.2.1.2.		თანამშრომელთა საჭიროებების კვლევა აწარმოოს სკოლის შიდა რეგულაციების, ერთწლიანი სამოქმედო გეგმისა და ადამიანური რესურსების პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად და მოახდინოს კვლევის შედეგების ანალიზი.
3.3.1.1.		შექმნას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ან ბრძანებით განსაზღვროს ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირი და შესაბამისი ცვლილებები ასახოს ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში.
3.3.1.3.		დისციპლინური კომიტეტის არჩევა განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
3.3.2.1.		საზოგადოებასთან ურთიერთობის წესში გაწეროს დაინტერესებული მხარეებისგან კორპორატიული მეილის



		საშუალებით უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა და მიუთითოს აღნიშნული მეილი.
3.4.1.2.		გამოიყენოს სპეციალური შირმა/ტიხარი ან მათთვის მოსახერხებელი ნებისმიერი საშუალებით უზრუნველყონ პაციენტის გასინჯვის პრივატულობა.
3.4.1.6.		სკოლას არ ჰყავს შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით დანიშნული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.
4.2.2.2.	მოსწავლეთა მხარდაჭერა	კლასის დამრიგებლებმა სადამრიგებლო პროგრამაში გაწერონ კლასის საათები და დაგეგმონ აქტივობები შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებაზე.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1		ბუნებისმეტყველებაში კურიკულუმების ჩარჩოებში ბოლო სვეტს დაერქვას „სასწავლო რესურსები“, სადაც ბიბლიოგრაფიული სტილის შესაბამისად ასახული იქნება; დამხმარე რესურსები (მაგ. მასწავლებლის წიგნი, მოსწავლის რვეული), ელექტრონული რესურსები (ვიდეო/ანიმაციური ფილმები, ინტერნეტრესურსები). აგრეთვე სპეციალურად შემუსავებული რესურსები, მაგალითად, დაკვირვების ფურცლები, ექსპერიმენტის აღწერები, პრეზენტაციები. სასწავლო მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურიკულუმებში დაფიქსირდეს დაგეგმილი ლაბორატორიული ან/და პრაქტიკული სამუშაოების დასახელება. სახელმწიფო ენა: ზოგ შემთხვევაში ჩანს მხოლოდ კომპლექსური დავალების იდეა, პირობის გარეშე. საგნობრივი კურიკულუმის სრულყოფის მიზნით სასურველია ყველგან დაურთონ კომპლექსური დავალების პირობაც, რათა წარმოჩინდეს, რამდენად მიემართება ეს დავალება კონკრეტულ სამიზნე ცნებას/ცნებებს. ასევე,



		სამიზნე ცნებებთან ერთად, ყველგან დაკონკრეტდეს ქვეცნებებიც, რომლებიც მუშავდება ამა თუ იმ დავალების ფარგლებში.
2.1.2.2		საგანში კომპიუტერული ტექნოლოგიები : კომპლექსურ დავალების, სასწავლო პროექტების შეთავაზების დროს, მეტად განისაზღვროს აქტივობების მრავალფეროვნება.
2.1.2.3.		ხელოვნებაში- სასურველია მასწავლებლებმა ძირითადად ხელოვნების კურიკულუმებში ყველა თემასთან მიუთითოს შესაბამისი სასწავლო მასალა, სახელმძღვანელოს გვერდების , ლინკის ან სხვა რესურსის სახით. (არ მუთითონ ფერადი ფანქრები, საღებავები, ფერადი ფურცლები და მსგავსი რესურსი)
2.1.2.4		საგანში კომპიუტერული ტექნოლოგიები : კომპლექსურ დავალების, სასწავლო პროექტების შეთავაზების დროს, მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული მიდგომები.
2.2.1.3.		საგანში კომპიუტერული ტექნოლოგიები: შეიქმნას კონკრეტულ თემაზე /საკითხზე სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1		საგანში სახელმწიფო ენა :დაიხვეწოს მერვე კლასის კურიკულუმის სტრუქტურა. კერძოდ, ჩასამატებელია საკითხის, კონტექსტმაგალითებისა და რესურსების სვეტი. ზედმეტია დავალების განხორციელების დროის სვეტი.
2.1.2.3		საბუნებისმეტყველო საგნები:სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგების მიღწევიდან გამომდინარე,სასურველია



		ქიმიის ლაბორატორიის სრულყოფილი ფუნქციონირება, რაც გულისხმობს საბაზო საფეხურის სადემონსტრაციო ცდებისთვის, ექსპერიმენტებისთვის ლაბორატორიის შევსება საჭირო რესურსებითა და რეაქტივებით. უსაფრთხოების წესების გათვალისწინებას, გამწოვი კარადის ფუნქციონირებას, სადემონსტრაციო მაგიდის ცეცხლგამძლე მასალით დაფარვას, რეაქტივების შენახვის წესის გათვალისწინებას, ფარდა-ქაღალუხის დამონტაჟებას. დენის წყაროების სათანადოდ დამონტაჟებას. სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში: სასურველია მასწავლებლებმა, ძირითადად ხელოვნების კურიკულუმებში ყველა თემასთან მიუთითოს შესაბამისი სასწავლო მასალა, სახელმძღვანელოს გვერდების, ლინკის ან სხვა რესურსის სახით. (არ მუთითონ ფერადი ფანქრები, საღებავები, ფერადი ფურცლები და მსგავსი მატერიალური რესურსი).
2.1.2.5.		საბუნებისმეტყველო საგნებში: ფიზიკის, ქიმიის საგნების საბაზო საფეხურის ყველა სასწავლო თემის საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით ინდიკატორების საფუძველზე შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სასურველია, საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნებში (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მომზადდეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ კონტექსტ-მაგალითებისთვის, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება კომპლექსური დავალება.
2.2.1.3.		საბუნებისმეტყველო საგნებში: სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური შეფასების დიზაინი, რომელსაც განმავითარებელი შეფასებისას იყენებს მასწავლებელი, ქმნის მნიშვნელოვან საფუძველს მოსწავლის მრავალმხრივი გაცნობისა და შესწავლისთვის. კომპლექსური დავალების შეფასებისას კათედრის მასწავლებლები იყენებენ მოლოდინების ცხრილს, ამ დროს მასწავლებელი ერთი მხრივ ეყრდნობა მოსწავლის შესახებ ზოგად ცოდნას და იმ



		კონტექსტის მოცემულობას, რომლითაც ის იცნობს მოსწავლეს, ხოლო მეორე მხრივ ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს, ცდილობს ამაზე დაფუძნებით განახორციელოს უკუკავშირი. ამ პროცესის უკეთ განმტკიცებისთვის სასურველია განმავითარებელი შეფასების კომენტარი სრულად იყოს გამოყენებული, სადაც მასწავლებელს კომენტარებში დაფიქსირებული ექნება არა მხოლოდ დაზუსტება, თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ და მისი წახალისება სამიზნე ცნებების მიმართ, არამედ შემდგომი პროგრესის ხელშეწყობის მიზნით გამოკვეთილი ექნება რჩევებიც.
2.2.2.3.		საბუნებისმეტყველო საგნებში: სასურველია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნების: ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია ლაბორატორიები ფუნქციონირებდეს და აღიურვოს შესაბამისი რესურსებით ისე, რომ დაგეგმილი კვლევა/ექსპერიმენტის განხორციელება შესაძლებელი იყოს ინდივიდუალურად/ჯგუფურად მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით.
სტანდარტი N2	<i>სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)</i>	<i>რჩევა</i>
ინდიკატორი N....		

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე



ექსპერტთა ჯგუფი სრულად იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაწერილია ის აქტივობები, რომელთა საშუალებითაც სკოლა უზრუნველყოფს ყველა სტანდარტის მოყვანას ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში. ასევე სკოლამ წარმოადგინა გათვლილი შესაბამისობის რისკები და რისკის დადგომის ალბათობა. კერძოდ, 3.1.2.3. ინდიკატორი - სკოლის თანამშრომლებს არ აქვთ ცნობა უფლებების ჩამორთმევის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ.", სკოლას განსაზღვრული ჰქონდა ინდიკატორის მოყვანა შესაბამისობაში 2024 წლის 1 ივლისიდან 29 ივლისამდე, შესაბამისად, უკვე შესრულებულია. 3.4.1.1. ინდიკატორი - სკოლას არ აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების გეგმა, არ აქვს სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა. სკოლას დაგეგმილი აქვს შესაბამისობაში მოიყვანოს 2024 წლის 3 აპრილიდან 2025 წლის 3 აპრილამდე. შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულია ასევე პასუხისმგებელი პირები და ის რესურსები, რომლებიც ხელს შეუწყობს დაგეგმილი აქტივობების შესრულებას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის მისია და ხედვა, რომელიც სკოლის სასკოლო გეგმისა და შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის ნაწილია. სკოლის მისია შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ეროვნულ საწავლო გეგმას, ორიენტირებულია სწავლა-სწავლების თანამედროვე პრინციპებზე, მოსწავლეზე ორიენტირებულ სიღრმისეულ სწავლებაზე, ამავდროულად, არის ადგილობრივი სასკოლო საზოგადოების ინტერესებზე მორგებული.

მისია

სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელის საჯარო სკოლის მისიაა, სასკოლო საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობით აღვზარდოთ განათლებული, ლიბერალური, დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი, პატრიოტი, კონკურენტუნარიანი, 21-ე საუკუნის მოქალაქე.

ხედვა

2030 წლისთვის ჩვენი სკოლა გახდება ძლიერი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება გაზრდილი მოსწავლეთა კონტიგენტით და სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხით. ამისათვის კი ჩვენ ეტაპობრივად დავძლევთ ყოველგვარ სირთულეს. სწავლა-სწავლების პროცესში შევქმნით უნივერსალურ დიზაინს, რომლის მიზანი მოქნილი საგანმანათლებლო პროცესების წარმართვაა, რაც საბოლოოდ აღმოფხვრის შემაფერხებელ ბარიერებს და დაგვიმკვიდრებს ადგილს საქართველოს საუკეთესო სკოლებს შორის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა სასკოლო საზოგადოებისათვის წარმოადგენს უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომია. ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც იკრიბება წელიწადში 4-ჯერ და განიხილავს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პროცესებს და გეგმავს სამომავლო აქტივობებს. მოქმედებს მასწავლებელთა და მოსწავლეთა მორიგეობის განრიგი. დღისა და ღამის უსაფრთხოებას აკონტროლებს 2 დარაჯი. კონტროლდება ასევე უცხო პირთა გადაადგილება სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე.

სკოლაში შექმნილი სოციო-კულტურულ სივრცე ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას მნიშვნელოვან საქმიანობაში. მოსწავლეებს საშუალება აქვთ გაცვალონ იდეები და გავითარდნენ. სკოლაში განხორციელდა პროექტი „მწვანე ჯილდო“ მოსწაულებმა შეაგროვეს უამრავი ინფორმაცია და თანასკოლელებს წარმოუდგინეს პრეზენტაციები პროექტით გათვალისწინებულ საინტერესო თემებზე, გააღამაზეს სკოლის ეზო. დათესეს ყვავილების თესლები და დარგეს სხვადასხვა მცენარეები. ყურადღებას აქცევენ და ყოველ დღე რწყავენ უვლიან და აკვირდებიან რათა არაფერმა დააზიანოს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით ტარდება სამუშაო შეხვედრები. ტარდება კათედრებზე ერთობლივად დაგეგმილი გაკვეთილები. სკოლას დაგეგმილო აქვს საინტერესო აქტივობები, რათა სკოლა მოიაზრებოდეს არა მხოლოდ სასკოლო საზოგადოების, არამედ მთლიანი თემის სოციო-კულტურულ სივრცედ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

სასკოლო საზოგადოება აერთიანებს პედაგოგებს, ბავშვებსა და მშობლებს, საერთო სასკოლო მიდგომა ქმნის სკოლების დემოკრატიული განვითარების ღირებულ პერსპექტივას. სკოლამ შეიმუშავა კითხვარი სადაც მთავარი კითხვა იყო - „რა მახასიათებლები აქვს კარგ სკოლას?“ კითხვარი შეავსეს, როგორც მოსწავლეებმა, ასევე მშობლებმაც. რითაც საშუალება მიეცა ყველას გამოეთქვა საკუთარი აზრი. ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნქციების გათვალისწინებით შემუშავდა და საბოლოო სახით პედაგოგებთან ერთად პედსაბჭოზე ჩამოვყალიბდა სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები. აღსანიშნავია, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულება დამტკიცებულია პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე 2024 წლის 7 სექტემბერს, ხოლო მოსწავლეთა

ჩართულობა სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში განისაზღვრა სკოლის დირექტორის ბრძანებით 2024 წლის 24 ოქტომბერს, რაც დროში შეუსაბამობას იწვევს

. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლას არ ჰქონია ბრძანებით შექმნილი ჯგუფი, რომელიც იმუშავებდა სკოლის ფილოსოფიაზე. ამის და მიუხედავად მისიის შექმნაში ჩართული უყვნენ პედაგოგები. სკოლის მოსწავლეები, ასევე სკოლის მოსწავლეთა თვითმართველობის წევრი ჩაერთვნენ სკოლის მისიის და ხედვის განხილვაში სკოლის ფილოსოფიის დამტკიცების შემდეგ. მისიის შემუშავებაში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რაც იწვევს მიკუთვნილობის გრძნობას მისიისადმი. მისია და ხედვა გამოკრულია სკოლაში ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს, არამარტო სასკოლო საზოგადოებას არამედ თემს შეუძლია მისი წაკითხვა და გაცნობა. ასევე სკოლის მისია და ხედვა გაზიარებულია სოც. ქსელში, ასევე სკოლის ვებ. გვერდზე.

სკოლა იღებს უკუკავშირს. სასკოლო საზოგადოებიდან, ხდება ამ უკუკავშირის ანალიზი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი; მეტი გამჭვირვალობისთვის სკოლის შესასვლელში, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. სკოლას დაგეგმილი ჰქონდა მისია, ხედვა და ღირებულებები მშობლებისთვის გაეზიარებინა დამრიგებლების მიერ შექმნილი მშობელთა ჩატების მეშვეობით, რაც შესრულებული იქნა. გაზიარებული გვაქვთ სოც. ქსელში, ასევე სკოლის ვებ. გვერდზე, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია მისი წაკითხვა, გაცნობა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 13 სექტემბრის ბრძანება N448, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის ბრძანება №194 „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე სკოლის სახელწოდებაა:

სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელის საჯარო სკოლა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N2 27.10. 2023 წ.

მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი N 4 24.10. 2024წ.

კითხვარი მოსწავლეების, მშობლებისათვის.

სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 წ.

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

სტრატეგიული გეგმის მეთოდოლოგიის მიზანია სკოლი მისიის, მიზნებისა და მათი მიღწევის პოტენციურ შესაძლებლობებს შორის შესაბამისობის დადგენა, რაც უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან განაწილებას, გარესამყაროსთან ორგანიზაციის ადაპტირებას, შინაგან კოორდინაციასა და ორგანიზაციული სტრატეგიის შეცნობას.

სტრატეგიული განვითარების გეგმა იძლევა მიმართულებას მრავალწლიან პერსპექტივაში და ეხმარება განისაზღვროს მომავალი ნაბიჯები. სტრატეგიული განვითარების გეგმა წარმოადგენს გრძელვადიან დაგეგმვის დოკუმენტს, რომელშიც აღწერილია სკოლის სამომავლო განვითარების პრიორიტეტები და საქმიანობები. იგი მოიცავს გრძელვადიან ხედვებსა და სტრატეგიულ მიზნებს. სტრატეგიული გეგმა გათვლილია 7 წელზე, თუმცა ყოველ წელს აუცილებელია მისი გადახედვა და შესაბამისი სიტუაციიდან გამომდინარე მისი შესწორება. (კანონმდებლობის ცვლილება, ეროვნულ დონეზე ახალი სტრატეგიების დამტკიცება, ასევე სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები, რაც აჩვენებს, რომ ზოგიერთი მიზნის მიღწევა აღარაა რელევანტური ან შესაძლებელი და სხვ.) სამოქმედო გეგმის ცვლილების მიზეზი შეიძლება იყოს სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგები, სტრატეგიული გეგმის ცვლილება და სხვ. აქვე აღსანიშნავია, რომ შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა არის ზოგადი, ყველა აქტივობა გაწერილია შვის წელზე. სკოლას მიეცა რჩევა გადახედოს სტრატეგიული განვითარების გეგმას და გაწეროს დაგეგმილი აქტივობები წლების მიხედვით მათ პრიორიტეტების გათვალისწინებით, ასევე პრიორიტეტების განსაზღვრისას გაითვალისწინოს სკოლის ფინანსური შესაძლებლობები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას).

სტრატეგიული გეგმა შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელის საჯარო სკოლის გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებსა და მიზნებს. სტრატეგიული გეგმა ეყრდნობა SWOT ანალიზს. სტრატეგიული მიზნების განხორციელების ვადის პარალელურად, მოცემულია შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც ნათლად წარმოაჩენს დასახული მიზნების წარმატებით ან წარუმატებლად განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ შვიდწლიანი გეგმა არის ზოგადი, აქტივობები არ არის გაწერილი წლების მიხედვით, აქედან გამომდინარე, ძნელია საუბარი გეგმის ციკლურობაზე. სკოლას მიეცა რჩევა სკოლის შვიდწლიანი გეგმის გადახედვის დროს ყურადღება მიექცეს გეგმის ციკლურობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მასში ასახულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4.სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. კერძოდ: საკოლო პოცესის ხარისხის ამაღლება. რაც უკავშირდება დიფერენცირებულ სწავლებას, პროექტების დანერგვა-მართვას, გამჭვირვალე შეფასებას. დიაგნოსტიკური წერების ჩატარებას, მონიტორინგს, გაკვეთილებზე დასწრება, უკუკავშირი, წახალისება ,მიმღებლობა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია;

სამოქმედო გეგმაში ასახული აქტივობების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტები.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

სკოლას აქვს შემუშავებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგია, მონიტორინგის მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია, როგორ ხდება მონიტორინგი და ვინ არის ამ პროცესზე პასუხისმგებელი. რა ინტენსივობით ხორციელდება მონიტორინგი (წელიწადში ერთხელ, ორჯერ, კვარტალში ერთხელ. ყოველთვიურად და სხვა.) ასევე ხორციელდება შინაარსობრივი ანალიზი, შესრულებული საქმიანობის კონტროლი, რათა დადგინდეს შესრულებული ამოცანები და აქტივობები რამდენად კარგად შესრულდა, აკმაყოფილებს თუ არა დადგენილ კრიტერიუმებს. ასევე გაანალიზდება შესრულებული და ნაკლებად შესრულებული აქტივობები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2 მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა განახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას. ამოწმებს რამდენად სტრატეგიულადაა განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებები და რამდენად მიემართება ისინი სასურველი ცვლილებების რეალიზებისკენ, ასევე მკაფიოდაა გაწერილი მისაღწევი გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები. ხდება დაგეგმილი აქტივობების და შერჩეული რესურსების შესაბამისობის დადგენა მოკლევადიან თუ გრძელვადიან მიზნებთან. ფასდება, რამდენად ეფექტიანად არის დაგეგმილი პროცესები, რამდენად არის გათვალისწინებული სკოლის რესურსები, ქმედითია თუ არა სტრატეგიული მიზნებით გათვალისწინებული ინტერვენციები და რამდენად შედეგიანია რეალიზებული პროცესები;

ასევე, მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია, თუ როგორ მოხდება გაზიარება სასკოლო საზოგადოებასთან და მათგან უკუკავშირის მიღება.

რა შესრულდა?

რისი განხორციელება შეფერხდა?

რომელმა ამოცანამ დაკარგა აქტუალობა და სჭირია ამოღება გეგმიდან?

რომელიმე ამოცანის დამატება ხომ არ არის საჭირო?

როგორ ხდება ვადების დაცვა?

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის წარდგენა სასკოლო საზოგადოებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია, ამ დროს ხდება დეკლარირებული მიზნების მიღწევის შეფასება, გამოწვევების იდენტიფიცირება და პასუხისმგებლობის გაზიარება ამ გამოწვევებთან გამკლავებაში.

რადგან სკოლის საქმიანობა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის შემცველია და სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, მნიშვნელოვანია დაწესებულება ანგარიშს აბარებდეს საზოგადოებას. სტრატეგიული განვითარებისა და გეგმების განხორციელების შედეგები გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4.სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. თითოეულ აქტივობას, შესრულების დონის მიხედვით, შეიძლება ჰქონდეს შემდეგი სტატუსი: შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა ან არ შესრულდა.

სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის და შეფასების შედეგები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის და შეფასების საბოლოო შედეგები წარედგინა სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირების მიზნით.

წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები გაფორმებულია სკოლის დირექტორის ანგარიშის სახით. ანგარიშის საფუძველზე გადაიხედება სტრატეგიული გეგმა და განისაზღვრება მასში ცვლილებების შეტანის საჭიროება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მიმდინარე ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

სტრატეგიული გეგმის მეთოდოლოგია;

სკოლის დირექტორის ანგარიში.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების საშტატო ერთეულები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საშტატო ნუსხით. სკოლაში დასაქმებულია დირექტორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ექთანი, დამლაგებელი, 2 დარაჯი და 13 მასწავლებელი (მათ შორის არიან სკოლის დირექტორი და საქმისმწარმოებელი). დასაქმებულ პირთა კონკრეტული ფუნქციები განსაზღვრულია მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და დისციპლინური კომიტეტი.
სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა, რომლის შესაბამისადაც დირექტორს ექვემდებარება საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, დირექტორის მოადგილე და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. აღნიშნული სტრუქტურის მიხედვით, დირექტორის მოადგილის დაქვემდებარებაშია ხარისხის მართვის მენეჯერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორს კი ექვემდებარება ტექნიკური პერსონალი - ექთანი, ცეცხლფარეში, დიასახლისი (დამლაგებელი) და 2 დარაჯი. თუმცა, სკოლას საშტატო განრიგით არ აქვს განსაზღვრული დირექტორის მოადგილისა და ხარისხის მართვის მენეჯერის შტატი და არც კადრები ჰყავს დასაქმებული ამ პოზიციებზე. შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, დააკორექტიროს სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა, საშტატო განრიგით გათვალისწინებულ პოზიციებთან შესაბამისად.

სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასა და მათ შორის კოორდინაციისთვის ხელმძღვანელობს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და „საჯარო სკოლის წესდების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 ბრძანების მიხედვით და თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის თანახმადაც, სკოლა უზრუნველყოფს იერარქიული სტრუქტურისა და თითოეული თანამშრომლის მიერ შესასრულებელი ფუნქციების მკაფიოობას. ამ მიზნით კი შემუშავებულია სამუშაო აღწერილობა დაწესებულებაში არსებული თითოეული პოზიციისთვის. თუმცა, სკოლას არც ავტორიზაციის ვიზიტისას და არც შემდგომ აღნიშნული დოკუმენტი არ წარმოუდგენია. შესაბამისად, სკოლას მიეცა **რჩევა**, შეიმუშაოს ერთიანი დოკუმენტი, რომელშიც ცალსახად იქნება განსაზღვრული სკოლაში არსებული ყველა სტრუქტურული ერთეულის/პირის ფუნქცია- მოვალეობები. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლაში დასაქმებული პირები ითავსებენ როგორც ადმინისტრაციულ, ასევე საგაკვეთილო პროცესს. ასევე, სკოლაში დასაქმებულ ზოგიერთ პირს, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა, დაკისრებული აქვს გარკვეული პასუხისმგებლობები. ერთ-ერთი მასწავლებელი განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირად. ასევე, მას ევალება მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვის ჟურნალის მონიტორინგის განხორციელება. ასევე, გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას საშტატო განრიგით არ აქვს გათვალისწინებული ბიბლიოთეკარის შტატი, სკოლის საქმისმწარმოებელი ითავსებს ბიბლიოთეკარის ფუნქციებს. თუმცა, ფუნქციები გამიჯნულია და უფლებამოსილებები დელეგირებულია თანამშრომლებზე იმგვარად, რომ არ ხდება ფუნქციათა აღრევა, ან გადაკვეთა. რაც თავისმხრივ ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საშტატო განრიგი;
- სკოლის სტრუქტურა;
- თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება;

- მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალის მონიტორინგზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
სკოლაში დასაქმებული პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით, სკოლის შინაგანაწესითა და თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად. სკოლას აქვს საკუთარი ორგანიზაციული მოწყობა და შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. მათ შორის, აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს სკოლის პერსონალის საქმიანობის შეფასების საკითხს, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირების მიზნით და შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებას საკითხს. სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ეფუძნება სკოლის ხედვასა და ღირებულებებს. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ნაწილობრივ მოიცავს ინფორმაციას პრევენციულ და ინტერვენციულ ღონისძიებათა შესახებ, რომელსაც სკოლა ახორციელებს არასასურველი შედეგების თავიდან ასაცილებლად ან/და მათზე რეაგირებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ კადრების ნაკლებობისა თუ ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, სკოლა დროულად აცხადებს ვაკანსიებს და მოქმედებს როგორც კანონმდებლობით, ისე შიდა ბრძანებებით განსაზღვრული ვადების შესაბამისად. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს სათანადო გზამკვლევი, რათა რომელიმე მასწავლებლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მისიერად შეძლოს ჩანაცვლება და შეუფერხებლად წარმართოს საგაკვეთილო პროცესი. ასევე, გამომდინარე იქიდან, რომ სკოლაში რამდენიმე მასწავლებელი ასწავლის იმავე ან/და სხვა საგნობრივ ჯგუფში შემავალ რამდენიმე საგანს, სკოლა არდადეგების პერიოდში გეგმავს გამოაცხადოს ღია კონკრუსი კვალიფიციური კადრების აყვანის მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;

სკოლა მასწავლებლებს არჩევს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, შიდა და ღია კონკურსის გამოცხადების გზით, ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით. მასწავლებლის დასაქმება ხდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ N174/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლაში არსებულ ზოგიერთ პოზიციაზე საკვალიფიკაციო მოთხოვნები კანონმდებლობით პირდაპირ არის განსაზღვრული (მასწავლებელი, სპეციალური მასწავლებელი, ექიმი/ექთანი). შესაბამისად, ვაკანსიის გამოცხადებისას სკოლა ხელმძღვანელობს აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით. თანამშრომელთა შერჩევის მიზნით, კონკურსის გამოცხადებისას სკოლა შეიმუშავებს კონკურსის ჩატარების წესს (გარდა მასწავლებლის კონკურსისა) საკონკურსო კომისიას ქმნის კანონმდებლობის შესაბამისად, ვაკანსიას აცხადებს მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე. კანდიდატის შერჩევა ხდება სკოლის მიერ განსაზღვრული ვადების, ეტაპებისა და შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად. სკოლას თავის მხრივ განსაზღვრული აქვს თანამშრომლებისათვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, გარდა სკოლის დარაჯისა. შესაბამისად, სკოლას მიეცა **რჩევა**, საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვროს დარაჯისთვისაც. ასევე დაფიქსირდა შემდეგი **ხარვეზი** სკოლას არ აქვს შემუშავებული თანამშრომელთა შერჩევის წესი. თანამშრომელთა დანიშვნის ბრძანებებიდან იკვეთება, რომ ვაკანტურ პოზიციებზე თანამშრომელთა (გარდა ზემოთ აღნიშნული პოზიციებისა) შერჩევის შესახებ გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად იღებს სკოლის დირექტორი.

გარდა ამისა, პერსონალის შერჩევის პოლიტიკასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მიერ შემუშავებული არცერთი დოკუმენტი არ ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დასაქმების შეზღუდვის

შემთხვევებს. გარდა დოკუმენტში შეზღუდვის არარსებობისა, თანამშრომელთა ნაწილის პირად საქმეებში არ ინახება სკოლაში დასაქმებული პირების ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ. ასევე, სკოლის დირექტორის პირად საქმეში არ ინახება სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა. გარდა ამისა, სკოლის თანამშრომელთა უმრავლესობას წარმოდგენილი აქვს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, რომელიც არ არის დამოწმებული ნოტარიულად. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას არ აქვს შემუშავებული თანამშრომელთა შერჩევის წესი და პერსონალის შერჩევისას არ ითვალისწინებს კანონმდებლობით გათვალისწინებული დასაქმების შეზღუდვის შემთხვევებს, ვერ ჩაითვლება, რომ პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ წერილის, შესაბამისობის გეგმის და დოკუმენტების მიხედვით ხარვეზი გამოსწორებულია და შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებლის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. გარდა მასწავლებლებისა, ექთნის პოზიციაზე დასაქმებული პირის კვალიფიკაციაც შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ სკოლაში რამდენიმე მასწავლებელი ასწავლის როგორც იმავე, ასევე სხვა საგნობრივ ჯგუფში შემავალ საგანს, სკოლას მიეცა რჩევა, გამოაცხადოს ღია კონკურსი კვალიფიციური კადრების აყვანის მიზნით. ასევე, სკოლას მიეცა რჩევა, მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვროს სკოლის დარაჯისთვისაც. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების სხდომის ოქმებიდან გამომდინარე, ცალსახად იკვეთება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობა. სკოლაში მოქმედებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ერთ-ერთი მიზანი სწორედ თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრებაა. გარდა აღნიშნული ჯგუფისა, მასწავლებელთა გუნდური მუშაობა კათედრების სამუშაო პროცესში. ისინი ერთად განიხილავენ და გეგმავენ ურთიერთდასწრებას, მსჯელობენ სწავლების

სტრატეგიებზე, ეხმარებიან ერთმანეთს სასწავლო რესურსების მოძიებაში და უზიარებენ ერთმანეთს ინფორმაციას განათლების სფეროში დანერგილი ახალი მიდგომებისა და მეთოდების შესახებ. გარდა ამისა, სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომელშიც გაერთიანებულია ყველა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი. გუნდური და მონაწილეობითი მუშაობა გამოიკვეთა ასევე სკოლაში ვიზიტის დროსაც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლას შინაგანაწესით აქვს განსაზღვრული წახალისების მექანიზმები როგორც მოსწავლეთა, ისე თანამშრომელთათვის. მოსწავლეების შემთხვევაში გამოიყენება წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოვება და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება. თანამშრომელთათვის წახალისების სახით დამატებით გამოიყენება ფულადი პრემიის გაცემა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. შინაგანაწესი წახალისების ფორმებთან ერთად ადგენს მათი გამოყენების წესსაც. გარდა ამისა, წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მიზნით, სკოლა აქტიურად იყენებდა სკოლის სოციალური ქსელის გვერდს (ამ დროისათვის ხელმიუწვდომელია), რომლის საშუალებითაც აზიარებდა მოსწავლეთა და თანამშრომელთა წარმატების მაგალითებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- თანამშრომელთა გაფორმებული ხელშეკრულებები;
- კონკურსის გამოცხადების ბრძანება;
- საკონკურსო კომისიის შემქნის ბრძანება;
- საკონკურსო კომისიის ოქმები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები; სკოლის მიერ შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს სკოლის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზების საკითხს, რისთვისაც გათვალისწინებული აქვთ თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა, თანამშრომელთა განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა.

სკოლაში მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით შექმნილია ასევე მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი. გაკვეთილზე დაკვირვებისა და შეფასების, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმებს პედაგოგები განიხილავენ ასევე საგნობრივ კათედრებზე. წარმოდგენილი დოკუმენტებით იკვეთება, რომ კათედრებზე ხორციელდება ერთობლივი გაკვეთილების დაგეგმვა-განხორციელება, კათედრის წევრთა შორის იგეგმება ურთიერთდასწრება და ხდება უკუკავშირის მიცემა.

გარდა ამისა, სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული აქვს პერსონალის შესრულებული სამუშაოს შეფასების საკითხი. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, სკოლა პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას აწარმოებს სისტემატურად. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე კი გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლას სატრენინგო მომსახურებები გათვალისწინებული აქვს შესყიდვების ერთიან გეგმაშიც. აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარების საკითხს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ წარმოუდგენია თანამშრომელთა საჭიროებების კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტები, სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით პერსონალის განვითარება ხდება საჭიროებიდან გამომდინარე, როგორც თავად მასწავლებელთა ინიციატივით, ისე მასწავლებლის სახლთან თანამშრომლობითა და შესაბამისი ტრენინგების გავლით. გარდა ამისა, საჭიროებების გამოვლენისა და რეაგირებისთვის მზაობა იკითხება როგორც კათედრების სამოქმედო, ასევე სკოლის სამოქმედო გეგმებში. აღნიშნული ასევე დასტურდება თანამშრომელთა სერტიფიკატებით/ცნობებით. სკოლას მიეცა **რჩევა**, თანამშრომელთა საჭიროებების კვლევა აწარმოოს სკოლის შიდა რეგულაციების, ერთწლიანი სამოქმედო გეგმისა და ადამიანური რესურსების პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად და მოახდინოს კვლევის შედეგების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

სკოლის ადმინისტრაცია ცდილობს ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. ამისათვის, სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ასევე აქტიურად მუშაობენ საგნობრივი კათედრები. სკოლის ადმინისტრაციის ორგანიზებით სკოლაში ტარდება შეხვედრები, რომელზეც პედაგოგები ერთად განიხილავენ კარიერული ზრდისთვის საჭირო აქტივობებს. სკოლაში დასაქმებული წამყვანი მასწავლებელი კი თავის მხრივ გამოცდილებას უზიარებს კოლეგებს. სკოლის მიერ პერსონალის კარიერული ზრდის ხელშეწყობად შეიძლება მივიჩნიოთ ასევე სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული თანამშრომელთა წახალისების შესაძლებლობა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის.

გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას აქვს შეზღუდული ბიუჯეტი, სკოლის დირექცია შესაძლებლობის ფარგლებში, ზეპირსიტყვიერად ან სიგელების გადაცემით ახალისებს თანამშრომლებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან ყველა საჭირო პირობაა შექმნილი, რათა მოხდეს სამუშაო გარემოსთან თანამშრომლების ინტეგრაცია. სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის საკითხი. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, სკოლა ზრუნავს, რომ მათ მიერ შერჩეულმა პირმა შეძლოს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა, წარმატებით გაიაროს ორგანიზაციასთან ადაპტაციის პროცესი და გახდეს სკოლის ღირებული წევრი. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს პერსონალის ადაპტაციის წესი, რომლის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, პერსონალის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები და განხორციელების პროცედურები. ინტერვიუდან ირკვევა, რომ გარემოსთან ინტეგრაციას ძირითადად უზრუნველყოფს სკოლის დირექცია და საგნობრივი კათედრა. ისინი აცნობენ ახალ თანამშრომელს შინაგანაწესს, სამუშაო წესებს, პროცედურებსა და ანგარიშვალდებულების სისტემას, სკოლის ორგანიზაციულ კულტურას, დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს. კოლექტივისთვის ახალი თანამშრომლის წარდგენა ხდება პედსაბჭოზე/შეხვედრაზე და სამუშაოს დაწყებისთანავე ხდება მოსწავლეებისთვის წარდგენა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებულია პერსონალის მოტივირება და წახალისება, რომელიც გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას და მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისაკენ. წახალისების მექანიზმებს ვხვდებით სკოლის შინაგანაწესშიც, რომლის შესაბამისადაც, პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მაღლობის გამოცხადება, საპატიო სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. პერსონალის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა.

გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა მცირე ბიუჯეტისაა, ისინი მოკლებული არიან შესაძლებლობას ხშირად წახალისონ თანამშრომლები ფასიანი საჩუქრებითა თუ ფულადი პრემიის გაცემით. თუმცა, სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ადმინისტრაცია მუდმივად ცდილობს თანამშრომელთა წახალისებას სიგელების საშუალებითა და ზეპირსიტყვიერად მადლობის გამოცდადებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება;
- კათედრის ოქმები;
- პერსონალის ადაპტაციის წესი;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- თანამშრომელთა სერტიფიკატები/ცნობები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის მართვა და კონტროლი ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროცესი ძირითადად ეფუძნება სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლის სამოქმედო გეგმას. აღნიშნული დოკუმენტები ერთმანეთთან თანხვედრაშია და გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და მიზნებიდან. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საგნობრივი კათედრების მიერ ხორციელდება სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასება და შემდგომი გაუმჯობესება. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც სკოლა უზრუნველყოფს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის წესების და პროცედურების შემუშავებას, განხორციელებასა და შეფასებას. ასევე, აღნიშნულ პროცესებში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლის მიერ შემუშავებულ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში არ არის ცალსაყად განსაზღვრული ხარისხის უზრუნველყოფას ახორციელებს სკოლის მიერ განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი თუ სტრუქტურული ერთეული - ხარისხის მართვის სამსახური. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლას მიეცა რჩევა, შექმნას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ან ბრძანებით განსაზღვროს ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირი და შესაბამისი ცვლილებები ასახოს ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის შესაბამისადაც, სკოლის პროცესები იყოფა მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებად. სკოლის მმართველობითი პროცესებია: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა და ხარისხის უზრუნველყოფა. სკოლის ძირითადი პროცესები კი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა. რაც შეეხება სკოლის დამხმარე პროცესებს, ის მოიაზრება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოებას, მოსწავლისა და საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელებას, ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსების მართვას, უსაფრთხოების უზრუნველყოფას და წესრიგის დაცვას, საზოგადოებასთან ურთიერთობას, საქმისწარმოებასა და (დოკუმენტბრუნვა) კარიერული განვითარებას.

სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში. მათ შორის, შინაგანაწესში, სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებში, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში, კურიკულუმის დანერგვის მეთოდოლოგიაში და სასკოლო სასწავლო გეგმაში. აღნიშნული პროცესების აღწერას მოიცავს ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტები.

სკოლაში არსებული დამხმარე პროცესებს განსაზღვრავს სკოლის საქმისწარმოების წესი და სკოლის საქმიანობა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ასევე, სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

გასაჩივრების პროცედურები განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესითა და სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტით, რომელიც ადგენს განცხადების/საჩივრის წარდგენის წესს, ვადებს, საჩივრის განხილვის წესსა და დისციპლინარულ წარმოებას, დისციპლინარული სახდელის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადას და განხილვაზე უარის თქმის საფუძვლებს. ასევე, მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული შედეგების გასაჩივრების წესს, თანამშრომელთა/მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა და მოსწავლეთა საჩივრის განხილვის წესს. აღნიშნულ წესში კონკრეტდება ასევე შიდა სასკოლო გამოცდების შედეგების გასაჩივრების ვადები და ფორმა. სკოლა უზრუნველყოფს წესის

გაცნობას სასკოლო საზოგადოებისათვის და საჭიროების შემთხვევაში ყველა დაინტერესებულ პირს განუმარტავს წესში აღწერილ პროცედურებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში მოქმედი დისციპლინური კომიტეტი დაკომპლექტებულია თანაბარი რაოდენობით არჩეული მასწავლებლებისა და მოსწავლეთა მშობლებისაგან. მათი წარდგენის საკითხს ვხვდებით როგორც სამეურვეო საბჭოს, ისე პედაგოგიური საბჭოს ოქმებში. თუმცა, სამეურვეო საბჭოს დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობა არ ჰქონდა დამტკიცებული. შესაბამისად, სკოლას მიეცა **რჩევა**, დისციპლინური კომიტეტის არჩევა განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება პიროვნების გამოხატვის თავისუფლება, რწმენის თავისუფლება, აკადემიური თავისუფლება, შეკრების თავისუფლება, პირადი საიდუმლოება, სამართლიანი მოპყრობის უფლების, საჯარო ინფორმაციის გაცემის, სასკოლო რესურსების ხელმისაწვდომობის მექანიზმები. აღნიშნული პირების კანონიერი უფლებების დაცვას უზრუნველყოფს ასევე სკოლის შინაგანაწესი. გარდა ამისა, სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს უფლება/მოვალეობების ჩამონათვალს. იგივე შეიძლება ითქვას სკოლის პერსონალსა და სკოლას შორის გაფორმებულია ხელშეკრულებაზე, რომელიც თავის მხრივ შეიცავს დასაქმებული პირის უფლება/მოვალეობების საკითხს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- თანამშრომელთა ხელშეკრულებები;
- მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი;
- სკოლის სტრატეგიული გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა



- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია,
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი,
- ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს, აღწერს სკოლის შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესს. აღნიშნული წესის შემუშავების მიზანია სკოლის საკომუნიკაციო სტრატეგიების ეფექტური გამოყენება ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის, სასკოლო საზოგადოების ინფორმირება სკოლის საქმიანობისა და მისაღები ან/და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების როლის ზრდას სკოლის საქმიანობაში. სკოლა მოსწავლეებთან, თანამშრომლებთან და მშობლებთან კომუნიკაციისათვის აქტიურად იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებს: ელ-ფოსტა, e-Flow-ს სისტემა, სოციალური მედიის არხები, საინფორმაციო დაფა. თუმცა, სკოლას მიეცა **რჩევა**, საზოგადოებასთან ურთიერთობის წესში გაწეროს დაინტერესებული მხარეებისგან კორპორატიული მეილის საშუალებით უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა და მიუთითოს აღნიშნული მეილი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა მშობლებთან კომუნიკაციისათვის აქტიურად იყენებს სოციალური ქსელების ჯგუფებს. კომუნიკაციის აღნიშნული საშუალებები გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის შესახებ ყველა საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია განთავსებული იყო სკოლის სოციალურ ქსელში, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო მისთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიება. ამ ეტაპზე სკოლის სოციალური ქსელის გვერდი ხელმიუწვდომელია, თუმცა სკოლა აპირებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისათვის გამოიყენოს სკოლის ვებ.გვერდი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის შესაბამისად, სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით. ყველა სტრუქტურული ერთეული დაკომპლექტებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. ყველა სტრუქტურული რგოლის მუშაობის მთავარი მიზანია დემოკრატიული გარემოს შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ყველა დაინტერესებული პირების ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. უნდა აღინიშნოს მშობელთა ჩართულობა სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინურ კომიტეტში. აღნიშნული ორგანოების ფუნქციონირება გულისხმობს სასკოლო საზოგადოების წევრების თანაბარ ჩართულობას, რაც გამოიხატება შეხვედრებზე საკუთარი მოსაზრების დაფიქსირებითა და ინიციატივების გამოვლენით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი დისციპლინურ კომიტეტში მშობელი წევრების წარდგენასთან დაკავშირებით;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი;
- საინფორმაციო დაფები
- სკოლის ვებ.გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო

სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

სკოლა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ ბრძანების შესაბამისად. დირექტორის ბრძანებით სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო და განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას ჰყავს 2 დარაჯი, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა უსაფრთხოება, დაიცვას სკოლის შენობა და ქონება, გააკონტროლოს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი და დაიცვას სკოლა უცხო პირთა შესვლისაგან. (გარდა დირექციასთან შეთანხმებული შეხვედრებისა). სკოლას არ ჰყავს მანდატური, თუმცა შემუშავებული აქვს ასევე მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, რომლის შესაბამისადაც, ყოველ დღე 2 მასწავლებელი აკონტროლებს სკოლის ორივე სართულს. სკოლას არ აქვს ვიდეოკამერები, რომლითაც მოხდება სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლი, თუმცა სკოლას აქვს გაგზავნილი წერილობითი მიმართვა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან კამერების დამონტაჟების მოთხოვნით.

გარდა ამისა, სკოლას სკოლაში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული და შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და დირექტორის ბრძანებით შექმნილი აქვთ საგანგებო შტაბი. ასევე, სკოლას შენობაში გამოკრული აქვს საევაკუაციო გეგმები. სკოლას აქვს ასევე უფლებამოსილი სამსახურის მიერ გაცემული შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ მიწერილობა. აღნიშნული სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით, სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან, შესაბამისი დაფინანსების მიღების მიზნით.

სკოლა აშენებულია ერთი წლის წინ მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, თუმცა სკოლას არ აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც ინდიკატორი დაკმაყოფილდება 2025 წლის 3 აპრილამდე. ასევე სკოლის მიერ გათვლილია მოთხოვნის შესრულების დაგვიანების რისკი 5%.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;

სკოლას პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველსაყოფად, პირველ სართულზე მოწყობილი აქვს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, ნიავედებ ბუნებრივი ვენტილაციის გზით და აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით: სამედიცინო ტახტი, საკაცე, მაცივარი და კარადები, თუმცა ექიმის კაბინეტი არ არის უზრუნველყოფილი ყველა საჭირო მედიკამენტითა და პირველადი დახმარებისათვის საჭირო საშუალებებით, რისი შეძენაც იგეგმება ახალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის. სამედიცინო კაბინეტში არ არის დაცული პაციენტის გასინჯვის პრივატულობა, რამდენადაც სამედიცინო ტახტი არ არის გამოყოფილი ოთახის სხვა სივრცისაგან. შესაბამისად, სკოლას მიეცა **რჩევა** გამოიყენოს სპეციალური შირმა/ტიხარი ან მათთვის მოსახერხებელი ნებისმიერი საშუალებით უზრუნველყონ პაციენტის გასინჯვის პრივატულობა. სკოლას კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ჰყავს აყვანილი შესაბამისი ექთანი, რომელიც კანონით დადგენილი წესით ახდენს სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურებისა და შემთხვევების აღრიცხვას. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად შექმნილი აქვს მრჩეველთა საბჭო, რომელიც იკრიბება სემესტრში ორჯერ, განიხილავს არსებულ სიტუაციას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. სკოლას, მრჩეველთა საბჭოს სამოქმედო გეგმის შესაბამისად, სასწავლო წლის მანძილზე დაგეგმილი და განხორციელებული აქვს საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ბუღინგის წინააღმდეგ და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მოსწავლეებისათვის მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობა ხდება დამრიგებლების მიერ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას არ ჰყავს მანდატური, თუმცა ჰყავს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც ევალება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს ასევე მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, რომლის შესაბამისადაც, ყოველ დღე 2 მასწავლებელი აკონტროლებს სკოლის ორივე სართულს. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლას დერეფანში რამდენიმე ადგილას გამოკრული აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი – 112 (შემდგომ – 112). ასევე გამოკრულია განათლების, მეცნიერების, კულტურისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ნომერი – 2 200 220 და საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი – 598 08 30 06, 1481

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, სკოლაში მოქმედი მრჩეველთა საბჭო აწარმოებს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ. სკოლის ინფრასტრუქტურა, კერძოდ, ეზოში მოწყობილი სპორტული მოედანი თუ სკოლის დერეფნები ხელს უწყობს შესვენებაზე მოსწავლეთა სოციალიზაციის პროცესს. ისინი სკოლის ეზოს აქტიურად იყენებენ სპორტული აქტივობებისთვის და შეჯიბრებების ორგანიზებისათვის. ეზოშივე მოწყობილია დასასვენებელი სივრცე, რომელსაც ასევე აქტიურად იყენებენ მოსწავლეები. სკოლაში საკლასო სივრცეებში განთავსებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც მათთვის მამოტივირებელ გარემოს ქმნის.

გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, სკოლას დერეფანსა და სამასწავლებლოში არაერთგან აქვს გამოკრული ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის ცხელი ხაზისა და ახალციხის ცენტრის ფსიქოლოგის ტელეფონის ნომრები. გარდა ამისა, ინტერვიურებისას სკოლის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა ცდილობს საგნობრივ კურიკულუმებში ჩააშენოს ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც პიროვნულ, მორალურ და მოქალაქეობრივ ცნობიერების განვითარებაზე იქნება ორიენტირებული.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურები.

სანიტარული ნორმების დაცვას უზრუნველყოფს სკოლის დამლაგებელი, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას.

დამლაგებელთანგაფორმებული შრომითი ხელშეკრულებისა და სკოლის მიერ შემუშავებული წესის შესაბამისად, დამლაგებელი ვალდებულია ყოველდღიურად დააღაგოს სველი წესით და დაიცვას სისუფთავე სასკოლო ოთახებში, დერეფანში და ასევე სველ წერტილებში. დამლაგებლის მუშაობას ყოველდღიურ მონიტორინგს უწევს სკოლის ექთანი. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში ვიზიტის პერიოდში, სკოლის შენობაში და სველ წერტილებში დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილი იყო პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებითა და საჭირო რესურსებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სანიტარული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარისა და საწმენდი საშუალებების შესანახად სკოლაში არის გამოყოფილი ცალკე ოთახი. საყოფაცხოვრებო ქიმი და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება აღნიშნულ ოთახში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე და სხვა ნებისმიერ პერსონალური მონაცემების მიმღებზე. მოსწავლის პერსონალური ინფორმაციის გაცემის თაობაზე საჭიროების შემთხვევაში სკოლას აქვს გაფორმებული შეთანხმება მშობელთან მისი შვილის პირადი ინფორმაციის გამოყენების შესახებ. სკოლას პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული ასევე პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელ პირი, თუმცა სკოლას ვიზიტის პერიოდათვის არ ჰყავდა დანიშნული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რისი ვალდებულებაც სკოლას 2024 წლის 1-ლი ივნისიდან აქვს.

სკოლას მიეცა **რჩევა**, კანონით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით დანიშნოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, რომლის შესაბამისადაც ხორციელდება მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების დამუშავება, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნობრიობის გათვალისწინება და პერსონალური მონაცემების დაცვა. სკოლაში დამუშავებულ მონაცემებზე წვდომა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაძლებელია ჰქონდეს: დირექტორს, საქმისმწარმოებელს, ბუღალტერს, დამრიგებელს, მასწავლებელს, დარაჯს და ექთანს. სკოლის დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს დაცულია და ინახება სკოლის კანცელარიაში.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

რადგან დაწესებულება პირველად გადის ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორის შეფასება ვერ მოხდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ექთნის ხელშეკრულება;
- დამლაგებლის ხელშეკრულება;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ ბრძანება;
- სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა;
- წერილი ინფრასტრუქტურის სააგენტოს, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ გაცემულ რეკომენდაციების შესრულების მიზნით, დაფინანსების მოთხოვნის თაობაზე;
- წერილი ინფრასტრუქტურის სააგენტოს კამერებით აღჭურვის თაობაზე;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; სკოლა განლაგებულია 1797 კვ/მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების ფართზე. სკოლა არის ორსართულიანი, რომლის მშენებლობაც დასრულდა 2023 წელს. სკოლის ეზოში არის მეორე შენობაც, რომელშიც განთავსებულია საქვაბე. სკოლაში ირიცხება 27 მოსწავლე. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და სასკოლო დაფით. სკოლაში ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის არსებობის შემთხვევაში, სკოლას გააჩნია საკმარისი რაოდენობით საჭირო სასკოლო ინვენტარი.

სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია სკოლის კონტიგენტისათვის საკმარისი რაოდენობის კომპიუტერებით. მათ შორის სკოლამ გასულ წელს მიიღო 5 ცალი პორტაბელური კომპიუტერი, ხოლო 2024 წელს 16 პორტაბელური კომპიუტერი. ლაბორატორია აღჭურვილია ასევე პროექტორით. ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის ხელმისაწვდომია სკოლის ინტერნეტი. სკოლას აქვს სხვადასხვა თვალსაჩინოებები და აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო

სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებები კაბინეტი, თუმცა არ გააჩნიათ შესაბამისი ლაბორატორიისათვის განკუთვნილი მატერიალური რესურსები და არ არის დამონტაჟებული გამწოვი.

სკოლას აქვს ღია სპორტული მოედანი, თუმცა სკოლის შენობაში არ არის სპორტული დარბაზი. ასევე, ოთახების სიმცირიდან გამომდინარე, სკოლას არ აქვს ცალკე ოთახი ბიბლიოთეკისათვის და ის მოწყობილია კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახში. ბიბლიოთეკა შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, საინფორმაციო და სხვა სახის მასალები. სკოლის შემოსასვლელში განთავსებულია პანდუსი, რაც შშმ მოსწავლეს აძლევს შენობაში შესვლისა და გადაადგილების შესაძლებლობას. სკოლას აქვს ასევე ადაპტირებული სველი წერტილი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

ინფრასტრუქტურა საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. გარე სპორტულ სტადიონზე რეგულარულად ტარდება სპორტული ღონისძიებები. ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. სკოლის ეზოში მოსწოებულია ასევე საერთო დასვენების სივრცეები, რომელსაც აქტიურად იყენებენ, როგორც მოსწავლეები, ისე სკოლის თანამშრომლები. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;

სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება. ასევე, შედგენილი აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, რომელიც გამოკრულია ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკა, ოთახების რაოდენობის სიმცირიდან გამომდინარე, განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში. ბიბლიოთეკაში ინახება როგორც სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ისე საკითხავი, სასკოლო საგნობრივი ლიტერატურა და დამხმარე ლიტერატურა და მასალები. ბიბლიოთეკაში წიგნები განთავსებულია კატალოგის მიხედვით. ლიტერატურა დალაგებულია ანბანურად. ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერი. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს ბიბლიოთეკარის შტატი და ბიბლიოთეკარის ფუნქციებს ითავსებს სკოლის საქმისმწარმოებელი, უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკაში წიგნადი ფონდი დამუშავებულია კანონმდებლობის შესაბამისად და წიგნები აღრიცხულია საინვენტარო წიგნში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სკოლას შექმნილი აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების პირობები, სასკოლო გარემო ადაპტირებულია. სკოლის შესასვლელში არის პანდუსი და ასევე, მეორე სართულზე ასასვლელად სკოლაში დამონტაჟებულია ლიფტი. შესაბამისად, ყველა საერთო სარგებლობის სივრცე (კომპიუტერული ლაბორატორია, ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, ბუფეტი) ხელმისაწვდომია სსსმ მოსწავლეებისათვის. სკოლას აქვს ასევე ადაპტირებული საპირფარეშოები. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლეები, თუმცა მზადყოფნას გამოთქვამენ ასეთი მოსწავლის მიღების შემთხვევაში, მიიღონ ყველა საჭირო დამატებითი ზომა მოსწავლისათვის ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. დერეფნები, სკოლის ეზო, ღია სპორტული მოედანი, კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის დერეფნებში და საკლასო ოთახების კედლებზე განთავსებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც თავის მხრივ ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის ღია სპორტულ მოედანზე ეწყობა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები. სკოლის მოსწავლეები ჩართული არიან არამარტო სასკოლო აქტივობებში, არამედ რაიონულ და უფრო ფართომასშტაბიან ღონისძიებებშიც. სკოლის ეზოში არის გამოყოფილი სარეკრეაციო სივრცე სკამებით. სკოლის თანამშრომლები მოსწავლეებთან ერთად ზრუნავენ აღნიშნული სივრცის გამწვანებაზე. მათ უკვე დარგეს ბუჩქი და სხვადასხვანაირი ყვავილები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობის აზომვითი ნახაზი;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
- კომპიუტერების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება
- ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი;
- ფოტომასალა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას აქვს საკმარისი რაოდენობის კომპიუტერები. ასევე, ადმინისტრაციული პროცესის სრულფასოვნად წარმართვისათვის აქვთ მოწესრიგებული და გამართული პრინტერები, რომლებიც მუშაობს შეუფერხებლად. სკოლას არ ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი. მათ ემსახურებათ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის აიტი სპეციალისტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სკოლაში წამოჭრილი პრობლემების აღმოფხვრას.

სკოლა ელექტრონული საქმისწარმოებას ახორციელებს - email.mes.gov.ge, e-Flow.emis.ge, e-School.emis.ge ელექტრონულ სისტემაში, რაც შესაზღვრებლობას იძლევა სრულფასოვნად წარმართონ ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით.

მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ მიზნობრიობის გათვალისწინებით, შეუზღუდავად გამოიყენონ სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ყოველწლიურად ხდება კომპიუტერების

გადაცემა პირველკლასელთათვის. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიები სრულად ხელმისაწვდომია როგორც სკოლის თანამშრომელთა, ისე სკოლის მოსწავლეთათვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მიერ კომპიუტერების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც არეგულირებს საქმისწარმოების ერთიან წესებსა და პროცედურებს, ელექტრონული და მატერიალური დოკუმენტბრუნვის სისტემასა და საარქივო საქმეს. საქმისწარმოების სისტემის ორგანიზებას, დოკუმენტებზე მუშაობის წესის დაცვის ზედამხედველობას, დოკუმენტების დამუშავებასა და შესრულებული სამუშაოს კონტროლს ახორციელებს საქმისმწარმოებელი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მისი

ფუნქცია-მოვალეობები დეტალურად არის განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. სკოლაში შემოსულ, გასულ და შიდა დოკუმენტაციაზე სარეგისტრაციო ნომრისა და თარიღის მინიჭება ხორციელდება ელექტრონულად, ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის მეშვეობით. სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად, ბრძანებები არ არის სისტემატიზებული საკადრო და საერთო ბრძანებებად, რის გამოიწვევსაც სკოლა მომდოვნო სასწავლო წლისთვის გეგმავს. საქმისწარმოების წესის შესაბამისად, სკოლას ცნობების რეგისტრაციის ჟურნალები ცალკე აქვს მოსწავლეებისთვის და ცალკე მასწავლებლებისთვის, თუმცა რეალურად აღნიშნული რეგისტრაციის ჟურნალები გამოიყენებული არ არის. შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, საქმისწარმოების წესი მოიყვანოს შესაბამისობაში სკოლაში არსებულ პროცესებთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). ასევე, სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა ინფორმაციის დეტალურად ასახვა ხდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool). აღნიშნულ სისტემაში ხორციელდება ასევე მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის შესახებ ინფორმაციის ასახვა. გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის მიღება-გავრცელებისათვის სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონული ფოსტასა და სკოლის სოციალური ქსელის გვერდს (ამ დროისთვის არ არის ხელმისაწვდომი).

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ შემოწმდა eSchool-ის ბაზები, რომლებიც სრულყოფილია. შევსებულია ყველა სავალდებულო ველი, ამავე სისტემაში ხდება მოსწავლის მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის, კლასის ცვლილების განხორციელება, ასევე სახელმძღვანელოების არჩევა-აღრიცხვა, საგაკვეთილო ცხრილებისა და განრიგის შეტანა. აღნიშნულ სისტემაში სკოლა ასევე განსაზღვრავს პირველკლასელთა ლიმიტს, ახორციელებს საფეხურის დამღევას და მოსწავლეთა ამორიცხვას. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის ბარათი განახლებულია, მასწავლებელთა პროფილი შევსებულია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, სკოლის დირექტორის მ/შ სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს ფინანსური და სასწავლო წლის მიმდინარეობის შესახებ, ხოლო ყოველი წლის 10 დეკემბერს წარუდგენს საქართველოს პარლამენტს, პრემიერ მინისტრს, პრეზიდენტსა და საკანონმდებლო მაცნეს საჯარო ინფორმაციის წარდგენის შესახებ ანგარიშს.

გარდა ამისა, სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმისწარმოების წესი;
- საქმისმწარმოებლის შრომითი ხელშეკრულება;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- ერთიანი ელექტრონული სისტემა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი დირექტორის წლიურ ანგარიშთან დაკავშირებით;
- რეგისტრაციის ჟურნალები;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;



5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

სკოლას აქვს ვებ გვერდი, <https://skolebi.emis.ge/>, რომელზეც განთავსებული აქვს სავალდებულო დოკუმენტების ნაწილი. ისინი აპირებენ იმ მასალის სრულად განთავსებას, რომელიც საზოგადოებას მიაწვდის სრულყოფილ ინფორმაციას სასკოლო ცხოვრებაზე. სკოლას აქვს ასევე სოციალური ქსელის გვერდი, რომელსაც აქტიურად იყენებდა სკოლის ყოველდღიური ცხოვრების, წარმატებულ აქტივობებისა და საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციის განსათავსებლად. (ამ ეტაპზე აღმნიშნული გვერდი არ არის ხელმისაწვდომი). სკოლა მშობლებთან აქტიური კომუნიკაციისათვის იყენებს ასევე სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებს.

სკოლას მიეცა რჩევა, სკოლის ვებ გვერდზე ატვირთოს ყველა სავალდებულო დოკუმენტი და იზრუნოს მის მუდმივ განახლებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. საჭიროების შემთხვევაში სკოლა მზადყოფნას გამოთქვამს დაადასტუროს ინფორმაციის უტყუარობა. სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსება ხდება პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციის დაცვის მიზნით საჯარო ინფორმაციის გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირთან შეთანხმებით. სკოლის facebook გვერდსა თუ საინფორმაციო დაფებზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე, რომელიც მუდმივად განახლებადია. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, შესაბამისად, ვერ შეფასდება სკოლის მიერ მიღებული უკუკავშირის გამოყენება საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლას აქვს ვებ გვერდი, <https://skolebi.emis.ge/>. სკოლა სწავლებას ახორციელებს სახელმწიფო ენაზე, შესაბამისად ინფორმაცია ვებ.გვერდზე განთავსებულია სახელმწიფო ენაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლას გვერდი, <https://skolebi.emis.ge/>, შეიცავს სკოლის შესახებ შემდეგ ინფორმაციას: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, საკონტაქტო ინფორმაცია, მოსწავლეთა რაოდენობა, სკოლის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, პროგრამები, მოსწავლის ქცევის კოდექსი, ინფრასტრუქტურა, ფინანსები. თუმცა, ვებგვერდი ვერ იძლევა სრულყოფილ ინფორმაციას სკოლის შესახებ, რადგან ვერ გვერდზე არ არის განთავსებული ინფორმაცია მოსწავლის პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების შესახებ, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები. სკოლას მიეცა **რჩევა** ვერ გვერდზე განათავსოს ინფორმაცია მოსწავლის პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების შესახებ, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები.

ინდიკატორი მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის პროფილი eschool-ის ბაზაში
- Eflow, email.mes.gov.ge დათვალიერება
- <https://skolebi.emis.ge/>,

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

სკოლის ფინანსება ვაუჩერული დაფინანსებით, რაც ძირითადად ხმარდება თანამშრომელთა ხელფასებს, სკოლისათვის აუცილებელი რესურსების, საკანცელარიო და საოფისე ნივთების შეძენას. სკოლას არ აქვს დამატებითი ეკონომიკური შემოსავალი.

სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე კანონის დადგენილ ვადებში. ბიუჯეტის შემუშავებისას ისინი ხელმძღვანელობენ გასული წლების ანალიზის(ხარჯებისა და შემოსავლების) შედეგებით. ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ სკოლის ბიუჯეტის დაგეგმვისთვის საგნობრივი კათედრები მათ საჭიროებებს აცნობენ დირექციას. დირექტორი ბუღალტერთან ერთად იკვლევს საჭიროებებს, შეადგენს ბიუჯეტის პროექტს, რომელსაც განიხილავს და ამტკიცებს სამეურვეო საბჭო.

საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა მოხდეს ბიუჯეტის კორექტირება. თანხის განკარგვა მიზნობრივია და სრულად ხმარდება სკოლის განვითარებასა და სწავლა-სწავლების პროცესს. სკოლის მომდევნო წლის შესყიდვების გეგმას ადგენენ წინა წლებისა და

ბაზრის კვლევის გათვალისწინებით და ამტკიცებენ მიმდინარე წლის 20 ნოემბრამდე. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სკოლის დირექტორი წარსდგება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე წლის ფინანსური ანგარიშით, რაც დასტურდება სამეურვეო საბჭოს ოქმით. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სკოლის ფინანსურ რესურსებს გეგმავს და განკარგავს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. ბიუჯეტის დაგეგმვა ხორციელდება რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე. ბიუჯეტისა და შესყიდვების გეგმის შემუშავებისას, სკოლა ითვალისწინებს გასული წლის გამოცდილებასა და საპროგნოზო ბიუჯეტს. შესყიდვების გეგმა შედგენილია კანონით დადგენილ ვადაში. სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ბაზრის კვლევაზე პასუხისმგებელი პირი. ფინანსური რესურსების განკარგვის მონიტორინგის ერთგვარი საშუალებაა სკოლის დირექტორის მიერ წლიური ფინანსური ანგარიშის წარდგენა. აღნიშნული დასტურდება სამეურვეო საბჭოს შესაბამისი ოქმით, რომლითაც სკოლის დირექტორს სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენილი აქვს წლიური ფინანსური ანგარიში. სკოლის ბიუჯეტის გათვალისწინებით, სასკოლო სასწავლო გეგმითა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პროცესები მიმდინარეობს შეუფერხებლად., ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- წლიური ფინანსური ანგარიში;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებასთან დაკავშირებით;
- სკოლის 2023-2024 წლის ბიუჯეტი
- შესყიდვების გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მოსწავლეთა მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავება. გარდა ამისა, სკოლის მიერ შემუშავებული შინაგანაწესით, მოსწავლეთა ქცევისა და ასევე მასწავლებლის ეთიკის კოდექსზე დაყრდნობით უზრუნველყოფილია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიები. მოსწავლეთა უფლებების დაცვას უზრუნველყოფს ასევე მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს მოსწავლის უფლება-მოვალეობების საკითხსაც. გარდა ამისა, დირექციის წარმომადგენლებთან და შემდგომ მოსწავლეებთან გასაუბრებით, დადგინდა, რომ მოსწავლეს შეუძლია, ნებისმიერ დროს, მიმართოს დირექციას საკუთარი აზრის გამოსახატავად სიტყვიერი ან წერილობითი ფორმით. მოსწავლეთა პერსონალური ინფორმაცია დაცულია სკოლის ადმინისტრაციის, ასევე, მასწავლებლებისა და კლასის დამრიგებელთა მხრიდან. მშობელთა კრებების ჩატარების დროს კლასის დამრიგებელი საერთო შეხვედრაზე განიხილავს ზოგად ინფორმაციას. სკოლა მოსწავლეთა უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად მოქმედებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად. გარდა ამისა, სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად, მოსწავლეები, როგორც სასკოლო საზოგადოების

წევრები, ისე საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქეები საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობენ, ხოლო როგორც სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებს, მათ გარკვეული ვალდებულებებიც ეკისრებათ.

დამატებით უნდა ითქვას, რომ სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი, რომლის მიზანია მოსწავლეთა მხარდაჭერის, ინფორმირებულობის, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის ხელშეწყობა, არსებული სირთულეების, საჭიროებებისა და ინიციატივების იდენტიფიცირების მიზნით შესაბამის ღონისძიებებისა და აქტივობების განხორციელება, რაც დამატებით შეგვიძლია მივიჩნიოთ მოსწავლეთა უფლებების რეალიზების საშუალებად. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა. ამ მიზნით შექმნილია მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელშიც გაერთიანებული არიან საბაზო საფეხურის მოსწავლეები. დამრიგებლები ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კიდევ ერთხელ აცნობენ მოსწავლეებს საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებს და მოსწავლის ქცევის კოდექსს. დამრიგებლების მიერ ხდება ასევე შინაგანაწესის გაცნობა მშობელთა კრებებზე. გარდა ამისა, სკოლის მიერ შემუშავებული შინაგანაწესი ხელმისაწვდომია ყველასთვის. სკოლის შინაგანაწესი და სასკოლო-სასწავლო გეგმა თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული. სკოლის დერეფნებში გამოკრულია ასევე 112-ის, მანდატურის, სახალხო დამცველის და განათლების სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები. ვიზიტის პერიოდში რიგ საკლასო ოთახებში გამოკრული იყო ასევე მოსწავლეთა ქცევის წესები. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

სკოლაში ვიზიტისას მიერ შემოწმდა მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებები და დადგინდა, რომ მათში ასახულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები, ასევე ინფორმაცია მოსწავლის პერსონალურ მონაცემებთან გამოყენების შესახებ, სასწავლო და დასვენების, უქმე დღეების მოქმედების ვადის და შეწყვეტის წესის, დავის გადაწყვეტის, მხარეთა რეკვიზიტების და დამატებითი პირობების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებები;
- მშობელთა კრებების ოქმები;
- თვითმმართველობის ოქმი.
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი;
- მოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი
- დამრიგებლის პორტფოლიო

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
ბრძანებების შემოწმების დაფუძვლეზე შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ სკოლა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცესში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის“ მე-4 მუხლის

მე-2 პუნქტის შესაბამისად. თუმცა, სკოლას მიეცა რჩევა ცალკე დოკუმენტად გაწეროს შესაბამისი წესები და მექანიზმები. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

სკოლაში ვიზიტისას შემოწმდა დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები მოსწავლეების ჩარიცხვასა და ამორიცხვასთან დაკავშირებით, შემოწმდა ასევე განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის გვერდი, რომლის საფუძველზეც დგინდება, რომ სკოლაში აღნიშნული პროცესები ხორციელდება ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის“ შესაბამისად, ხოლო კლასისა და საფეხურის დაძლევის ბრძანებები ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სასკოლო სასწავლო გეგმა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც არეგულირებს სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეებს, პირობებს, პროგრამებს და მათ სპეციფიკას. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა საჯაროა და ხელმისაწვდომია. ის გამოკრულია სკოლის დერეფანში კედელზე. ვიზიტი განხორციელდა სასწავლო წლის დასრულების შემდგომ და სკოლას ჯერ არ ჰქონდა შემუშავებული ახალი სასკოლო სასწავლო გეგმა მომდევნო სასწავლო წლისათვის, თუმცა, სკოლის ადმინისტრაცია გამოთქვამს მზაობას, დოკუმენტის შემუშავებისთანავე უზრუნველყოს მისი საჯაროობა, როგორც სკოლაში გამოკვრით, ასევე სკოლის ვებ. გვერდზე გაზიარებით.

სკოლას საჯაროდ ჰქონდა გამოკრული დერეფნებში ასევე სკოლის შინაგანაწერი და მოსწავლის ქცევის კოდექსი. ასევე, ბიბლიოთეკაში იყო განთავსებული ბიბლიოთეკაში ქცევის წესი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლის პერსონალის მიერ მიწოდებული ინფორმაცია განახლებული და არადისკრიმინაციულია. კლასის დამრიგებლები სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას სერვისების, დაგეგმილი შიდა სასკოლო და ეროვნული ოლიმპიადების, სპორტული აქტივობების, ღონისძიებების, განსახორციელებელი პროექტების შესახებ მოსწავლეებსა მშობლებს სოციალური ქსელითა თუ

პირისპირ, საინფორმაციო შეხვედრებზე. სკოლის მიერ არადისკრიმინაციული სერვისებისა და პროგრამების შეთავაზება ხდება მუდმივად. განახლების პროცესი ეფუძნება მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგებს. სკოლაში განსაზღვრულია მეორე უცხოური ენის არჩევის წესი, რომლის თანახმად, გადაწყვეტილების მიღება ხდება მშობელთა კრებაზე. კლასის დამრიგებელი მშობლებს ასარჩევად სთავაზობს მინიმუმ ორ ენას. ყველა მშობლის აზრის გათვალისწინებით ფორმდება შესაბამისი ოქმი, რაზეც ხელს აწერს მეხუთე კლასის მოსწავლეთა ყველა მშობელი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ სკოლისა და მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა მიერ საბაზო საფეხურის დაძლევის ბრძანება;
- მოსწავლეთა ჩარიცხვისა და ამორიცხვის შესახებ ბრძანებები;
- მშობელთა კრების ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომლის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები და მათი განხორციელების პროცედურები. სკოლა დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა.

საყურადღებოა, რომ სკოლა აკვირდება მოსწავლის ადაპტაციის სპროცესს და განსაზღვრული აქვს წარმატებული ადაპტაციის ნიშნები. კერძოდ, თუ მოსწავლე მხიარული, მშვიდი და ხალისიანია, სწრაფად პოულობს მეგობრებს თანაკლასელებს შორის, სიამოვნებს მასწავლებლებსა და თანაკლასელებზე საუბარი, დაუმაბავად ასრულებს მასწავლებლის მითითებებს და ადეკვატურად რეაგირებს შენიშვნებზე, სიამოვნებს სკოლაში წასვლა და სკოლისათვის მზადების პროცესი, მოსწონს სასკოლო ცხოვრების წესი, დაუმაბავად ასრულებს მასწავლებლის მითითებებს და ადეკვატურად რეაგირებს შენიშვნებზე, არ აქვს სკოლასთან, მასწავლებელსა და თანაკლასელებთან დაკავშირებული შიშები. სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა მოსწავლეთა ადაპტაციის წესის შესაბამისად, ასეთი მოსწავლის არსებობის შემთხვევაში, სკოლამ უნდა უზრუნველყოს სსსმ მოსწავლეთა წარმატებული ადაპტაციისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვებას ბავშვის ოჯახთან თანმიმდევრული კომუნიკაციით და ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საშუალებით, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი ბავშვის საჭიროებები და მოცემულია სასწავლო პროცესისა და გარემოს მორგების რეკომენდაციები.

პროცედურულად მოსწავლის ადაპტაცია ხორციელდება შედეგნაირად: სკოლის დირექციის დახმარებით ეცნობიან სკოლის

გარემოს: სკოლის ეზოს და დასასვენებელ სივრცეებს, საკლასო ოთახებს, რესურს ოთახს, სკოლაში არსებულ სველ წერტილებს, საერთო სარგებლობის სივრცეებს. გარდა ამისა, სკოლის ამინისტრაცია ხაზს უსვამს დამრიგებლის ფუნქციას მოსწავლის ადაპტაციის საკითხში. სწორედ დამრიგებელია ვალდებული გაუწიოს დახმარება ახალგაძმოსულ მოსწავლეს გარემოსთან ადაპტაციაში და კლასელებთან ურთიერთობის დამყარებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სწავლის დაწყებისას სკოლაში მოსწავლეებსა და მშობლებს ხვდებოდათ სადღესასწაულო გარემო, საზეიმოდ მორთული ეზო და საკლასო ოთახები. აქტიურად ხორციელდება საინფორმაციო შეხვედრები მშობლებთან, სიახლეების გაცნობა და ახლად გაძმოსულ მოსწავლეებისათვის სასკოლო გარემოს გაცნობა. პირველკლასელებისათვის ხდება საზეიმო სივრცის მოწყობა, სახელმძღვანელოებისა და ბუკების გადაცემა ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე. მათ მშობლებს კლასის დამრიგებლები აცნობენ სკოლის შინაგანაწესსა და შიდა სასკოლო რეგულაციებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად; სკოლის მასწავლებლებმა საგნის ექსპერტებთან გასაუბრების დროს დაადასტურეს, რომ ისინი განსაკუთრებულ როლს ანიჭებენ განმავითარებელ შეფასებას და მზაობას გამოთქვამენ მომავალშიც რეგულარულად გასცენ განმავითარებელი უკუკავშირები, რაც მათ მოსწავლეებს სიძნელეების დაძლევაში და პროგრესის დანახვაში უკეთ დაეხმარება. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით ხშირად მიმართავენ ინდივიდუალურ მუშაობას მოსწავლეებთან გაკვეთილების დასრულების შემდეგ. მასწავლებლის მიერ გამოყენებული განმსაზღვრელი შეფასება მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია როგორც ზეპირი კომუნიკაციის ასევე ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით.

გამომდინარე იქიდან, რომ სკოლაში ბოლო წლების განმავლობაში არ დანიშნულა საშემოდგომო ან ექსტერნატის გამოცდა, ამ მიმართულებით არ აქვთ მოსწავლეთა კონკულტირების გამოცდილება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. მოსწავლისათვის კანონმდებლობითა დადგენილი უფლებების რეალიზებისთვის,

სკოლა ახორციელებს სრულყოფილ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. მათ შორის, პირველკლასელთა რეგისტრაციის გამოცხადებისთანავე ინფორმაციას ანთავსებს როგორც სოციალური ქსელში, ასევე, სკოლაში საჯარო სივრცეში, რათა მშობლებს შესაძლებლობა მიეცეთ კანონით დადგენილ ვადებში შეძლონ მოსწავლეთა სკოლაში რეგისტრაცია.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას საქმისწარმოების წესში გაწერილი აქვს ყველა წარმოების კანონმდებლობით დადგენილი წესები და ვადები, რომლებიც შესაბამისობაშია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებთან. სკოლის შინაგანაწესის თანახმად, მოსწავლეებს, გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, შეუძლიათ ისარგებლონ გამოცდების ჩაბარების ექსტერნის წესით, ისარგებლონ ასევე საშემოდგომო გამოცდის ჩაბარების უფლებით. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ აიმაღლონ სემესტრული ნიშნები სასწავლო გეგმით გაწერილ ვადებში. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგების თანახმად, სკოლა აცხადებს მზაობას გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მომავალშიც გაუწიოს მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების ფარგლებში. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

მოსწავლეთათვის დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისების უზრუნველყოფისა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი. აღნიშნული წესის შესაბამისად, სკოლის დირექტორის ბრძანებით იქმნება მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან კლასების დამრიგებლები. სწორედ დამრიგებლებთან, მასწავლებელთან, მოსწავლეთა თვითმართველობასთან ან დკოლის დირექტორთან აქვთ უფლება მოსწავლეებმა დააყენონ თავიანთი ინიციატივები, როგორც ზეპირად, ასევე წერილობითი ფორმით.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა მუდმივად ახალისებს სასკოლო კურიკულუმის გარე აქტივობებს, როგორიცაა სპორტული შეჯიბრებები, კულტურულ-გასართობი ღონისძიებები და სხვ. ასევე, ადმინისტრაცია ცდილობს მოსწავლეთათვის დასასვენებელი/სარეკრეაციო სივრცისა თუ სპორტული მოედნის მოწყობითა და მოწესრიგებით მოსწავლეებს შეუქმნას პოზიტიური სასწავლო გარემო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას აქვს მოსწავლეთა ინიციატივით დაგეგმილი ექსკურსიების ორგანიზების გამოცდილება. რომ ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა მშობლების უკუკავშირის საფუძველზე განხორციელოს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესება. მაგალითად, გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა არის მცირეკონტიგენტიანი და ბუფეტის ფუნქციონირებისათვის

ფართის იჯარით გაცემა ვერ ხდება, მშობელთა მიერ დაფიქსირებული სურვილის შესაბამისად, სკოლამ უზრუნველყო ერთი ოთახის ბუფეტის მიზნებისათვის გამოყოფა. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ, სახლიდან წამოღებული საკვები დიდ შესვენებაზე მიირთვან ერთად. შესაბამისად, შეგვიძლია დავადგინოთ, რომ მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლამ შეძლო მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი.
- ჩატარებული ექსკურსიის მასალები

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
- კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი (დებულება). აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს საკონსულტაციო მომსახურების გაწევის, დამატებითი აქტივობების განხორციელების, სკოლის მოსწავლეებისათვის კარიერული მხარდაჭერისა და პროფორიენტაციის ღონისძიებების დაგეგმვის წესს. აღნიშნულ პროცესში სკოლა უზრუნველყოფს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის სამივე კომპონენტის (სასწავლო სესია, ექსკურსია, შეხვედრები სხვადასხვა სპეციალობის წარმომადგენლებთან, სკოლის კურსდამთავრებულებთან) განხორციელებას.

კარიერული დაგეგმვა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა სკოლას გათვალისწინებული ჰქონდა ერთწლიან სამოქმედო გეგმაშიც. გასულ სასწავლო წელს სკოლას მოწვეული ჰყავდა სტუმარი პროფესიაზე სასაუბროდ. წარმოდგენილი კითხვარის შესაბამისად, მსჯელობის საგანი იყო: შერჩეული პროფესიის სისწორე, რატომ ეს პროფესია? რამ განაპირობა აღნიშნული პროფესიის არჩევა, რა გარეშე ფაქტორებმა იმოქმედა პროფესიის არჩევისას და სხვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება მივიჩნიოთ, რომ სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

სკოლის მიერ შემუშავებული პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი ადგენს სკოლის ვალდებულებას, უზრუნველყოს კარიერული დახმარებისა და კონსულტაციის გაწევა სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის ძირითადი კომპონენტების გამოკვეთით: თვითშემეცნება; შრომის ბაზრის კვლევა; ინფორმაცია პროფესიაზე და ინფორმაცია საგანმანათლებლო პროცესებზე. გარდა ამისა, სკოლის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს მემორანდუმების გაფორმება და თანამშრომლობა პროფესიულ კოლეჯებთან. სკოლა მზაობას გამოთქვამს აღნიშნულთან დაკავშირებით და მომდევნო სასწავლო წელს გეგმავს გააფორმოს მემორანდუმი კოლეჯთან, რომელთან თანამშრომლობის გამოცდილებაც მას უკვე აქვს.

სკოლას მიეცა **რჩევა**, კლასის დამრიგებლებმა სადამრიგებლო პროგრამაში გაწერონ კლასის საათები და დაგეგმონ აქტივობები შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს, რომ სკოლაში მუდმივად უნდა მოხდეს სწავლა-სწავლებისა და მართვის ხარისხზე დაკვირვება და პროცესების შეფასება, რომელიც ციკლური ხასიათისაა, რაც გულისხმობს პროცესის მუდმივ გაუმჯობესებას მოსწავლეთა კომპეტენციის თვალსაზრისით. ასევე, უნდა განხორციელდეს სკოლის საქმიანობის უწყვეტი შეფასება და მისი განვითარება, სტრატეგიული გეგმის შესრულებაზე მონიტორინგი; სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასება, მოსწავლეთათვის მხარდამჭერი სერვისების და რესურსების სხვადასხვა სახით შემუშავება,

დანერგვა, შეფასება და გაუმჯობესება. სკოლა გამოთქვამს მზაობას ამ მექანიზმების გამოყენებით მოახდინოს გაწეული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
- პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

სკოლას არ ჰყავს არცერთი სსსმ მოსწავლე, თუმცა, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები. სსსმ მოსწავლის მიღების შემთხვევაში სკოლა მზადყოფნას გამოთქვამს უზრუნველყოს სწავლო გეგმის მოდიფიკაცია, სასწავლო გარემოს აკომოდაცია და საჭიროების შემთხვევაში ალტერნატიული სასწავლო მიზნები შემუშავება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ ჰყავს არცერთი სსსმ მოსწავლე, სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები. მათ შორის, სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და აღნიშნული გეგმის შედგენაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფის შემქმნის საკითხი. შესაბამისად, აღნიშნული შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებებს, ინდიკატორი ვერ შეფასდება.



2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას; გამოდინარე იქიდან, რომ სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებებს, ინდიკატორი ვერ შეფასდება.

3.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგების გათვალისწინებით, სკოლაში არსებული ყველა მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესების დაცვას. სასკოლო ექსკურსიების მოწყობისთვის საჭირო პროცედურების დაცვას აკონტროლებს სკოლის დირექტორი. ჩატარებულ ექსკურსიებთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმების შედეგად შეგვიძლია ვთვათ, რომ სკოლა ექსკურსიების ორგანიზებისას ხელმძღვანელობს კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით და ამავდროულად გამოთქვამს მზაობას, მომავალშიც იმოქმედოს მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ჩატარებული ექსკურსიების ორგანიზების მასალები;

შეფასება:

- ვთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. . ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
2. ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
3. . ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
4. ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია;
კომპლექსური დავალებების ნიმუშები;
კათედრის მუშაობის ამსახველი მასალები. (ურთიერთდასწრების ოქმი და უკუკავშირი);
სასკოლო ღონისძიებების ამსახველი ფოტო-მასალა (პროექტი მწვანე ჯილდო);
დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს



1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგნობრივი კურიკულუმები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, თუმცა, აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში რამდენიმე საგანში გაცემულია შემდეგი **რჩევები**:

ბუნებისმეტყველებაში კურიკულუმების ჩარჩოებში ბოლო სვეტს დაერქვას „სასწავლო რესურსები“, სადაც ბიბლიოგრაფიული სტილის შესაბამისად ასახული იქნება; დამხმარე რესურსები (მაგ. მასწავლებლის წიგნი, მოსწავლის რვეული), ელექტრონული რესურსები (ვიდეო/ანიმაციური ფილმები, ინტერნეტრესურსები). აგრეთვე სპეციალურად შემუსავებული რესურსები, მაგალითად, დაკვირვების ფურცლები, ექსპერიმენტის აღწერები, პრეზენტაციები. სასწავლო მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურიკულუმებში დაფიქსირდეს დაგეგმილი ლაბორატორიული ან/და პრაქტიკული სამუშაოების დასახელება.

სახელმწიფო ენა: ზოგ შემთხვევაში ჩანს მხოლოდ კომპლექსური დავალების იდეა, პირობის გარეშე. საგნობრივი კურიკულუმის სრულყოფის მიზნით სასურველია ყველგან დაურთონ კომპლექსური დავალების პირობაც, რათა წარმოჩინდეს, რამდენად მიემართება ეს დავალება კონკრეტულ სამიზნე ცნებას/ცნებებს. ასევე, სამიზნე ცნებებთან ერთად, ყველგან დაკონკრეტდეს ქვეცნებებიც, რომლებიც მუშავდება ამა თუ იმ დავალების ფარგლებში.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, თუმცა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში სკოლას მიეცა **რჩევა** საგანში კომპიუტერული ტექნოლოგიები: კომპლექსურ დავალების, სასწავლო პროექტების შეთავაზების დროს, მეტად განისაზღვროს აქტივობების მრავალფეროვნება.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს..

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში გაცემულია შემდეგი **რჩევა**: ხელოვნებაში- სასურველია მასწავლებლებმა ძირითადად ხელოვნების კურიკულუმებში ყველა თემასთან მიუთითოს შესაბამისი სასწავლო მასალა, სახელმძღვანელოს გვერდების, ლინკის ან სხვა რესურსის სახით.

(არ მუთითონ ფერადი ფანქრები, საღებავები, ფერადი ფურცლები და მსგავსი რესურსი)

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, თუმცა ამ საკითხთან მიმართებაში სკოლას მიეცა **რჩევა** საგანში კომპიუტერული ტექნოლოგიები : კომპლექსურ დავალების, სასწავლო პროექტების შეთავაზების დროს, მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული მიდგომები.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგია;

განმავითერებელი შეფასების კრიტერიუმები დაწყებითი საფეხური. (რუბრიკები);

გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

○

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
2. ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, თუმცა ამ საკითხთან მიმართებაში სკოლას მიეცა რჩევა საგანში კომპიუტერული ტექნოლოგიები: შეიქმნას კონკრეტულ თემაზე /საკითხზე სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
4. ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
5. ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;

გაკვეთილის, გეგმა რუბრიკით;

სასკოლო კურიკულუმების მეთოდოლოგია;

დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;
2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;



3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
2. ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
3. ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
4. ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმების დამხმარე რესურსების ლინკები(საკოლო სახელმძღვანელოში მოცემული ლინკები, ასევე მასწავლებლის სახელმძღვანელოში მითითებული მოსამენი მასალა.;

მატერიალური რესურსები;

კოლეგებთან შეხვედრის ამსახველი დოკუმენტაცია და ფოტო მასალა;

კათედრაზე ურთიერთდასწრების ოქმები. და უკუკავშირი.

შეფასება:

◦ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
2. ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
3. ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მუსიკის გაკვეთილი გეგმა და რეფლექსია.

დიაგნოსტიკური წერის ნიმუში;

დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
2. ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
3. ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
4. ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მასწავლებლისა და მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი;

განმსაზღვრერი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
2. ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა;

ხარისხის განვითარების ჯგუფის ბრძანება N 4 16. 01. 24 წ;

მასწავლებლების საგნობრივი ანგარიში;

საგნობრივი კათედრების ანგარიში.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საგანმანათლებლო საფეხური)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

5. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
6. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
7. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
8. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. .ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
2. .ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
3. .ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
4. .ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგია;

კომპლექსური დავალებების ნიმუშები;

კათედრის ურთიერთდასწრების ოქმი N 3;

სასკოლო პროექტის „მწვანე ჯილდო“ ამსახველი ფოტო-მასალა <https://www.facebook.com/profile.php?id=61555049399167>

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;

3.კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

4.სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;

5.მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას,თუმცა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში სკოლას მიეცა **რჩევა** საგანში სახელმწიფო ენა :დაიხვეწოს მერვე კლასის კურიკულუმის სტრუქტურა. კერძოდ, ჩასამატებელია საკითხის, კონტექსტმაგალითებისა და რესურსების სვეტი. ზედმეტია დავალების განხორციელების დროის სვეტი.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. .კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში სკოლას მიეცა **რჩევა** საგნებში:

საბუნებისმეტყველო საგნები:სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგების მიღწევიდან გამომდინარე,სასურველია ქიმიის ლაბორატორიის სრულყოფილი ფუნქციონირება,რაც გულისხმობს საბაზო საფეხურის სადემონსტრაციო ცდებისთვის,ექსპერიმენტებისთვის ლაბორატორიის შევსება საჭირო რესურსებითა და რეაქტივებით. უსაფრთხოების წესების გათვალისწინებას,გამწოვი კარადის ფუნქციონირებას,სადემონსტრაციო მაგიდის ცეცხლგამძლე მასალით დაფარვას,რეაქტივების შენახვის წესის გათვალისწინებას, ფარდა-ჟალუზის დამონტაჟებას. დენის წყაროების სათანადოდ დამონტაჟებას.

სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში:სასურველია მასწავლებლებმა, ძირითადად ხელოვნების კურიკულუმებში ყველა თემასთან მიუთითოს შესაბამისი სასწავლო მასალა, სახელმძღვანელოს გვერდების , ლინკის ან სხვა რესურსის სახით.

(არ მუთითონ ფერადი ფანქრები, საღებავები, ფერადი ფურცლები და მსგავსი მატერიალური რესურსი).

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, თუმცა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში სკოლას მიეცა **რჩევა** საბუნებისმეტყველო საგნებში: ფიზიკის, ქიმიის საგნების საბაზო საფეხურის ყველა სასწავლო თემის საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით ინდიკატორების საფუძველზე შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სასურველია, საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნებში (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მომზადდეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ კონტექსტ-მაგალითებისთვის, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება კომპლექსური დავალება.

ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასების რუბრიკები საბაზო საფეხურზე;

სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგია;

გრიფინიჭებული სახელმძღვანელოები;

საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

◦

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

6. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
7. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
8. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
9. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
10. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
2. ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
